საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა (5 აგვისტო, 1989 წ.)

3 და 4 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XXI ტურის შეხვედრები.

„დინამო" (მოსკოვი) - „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 3 აგვისტო.

მოსკოვი: ხარინი, ლოსევი, სკლიაროვი (საბიტოვი, 46), მოხი, ჩერნიშოვი, კობელევი (ნეიმანი, 82), ერიომენკო, კარატაევი, კოლივანოვი, დობროვოლსკი, კირიაკოვი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია (თედეევი, 68), ჩიქოვანი, დარასელია, ჯიშკარიანი (ქეცბაია, 78), ცვეიბა, აფციაური, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

დუბლიორები _ 6:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა თედეევმა.

პირველი წრის მატჩი ამ გუნდებს შორის თბილისში მოსკოვის დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა _ 2:1. საპასუხო მატჩში მოსკოველებმა ტრადიციულად კვლავ გაიმარჯვეს და თბილისელ თანაკლუბელებთან მოპოვებული მოგებების გრძელ სიას კიდევ ერთი მიუმატეს. სტუმრებმა წლევანდელ ჩემპიონატში ეს ----- მერვე დამარცხება იწვნიეს. გუნდი ახლა მტკიცედ დამკვიდრდა აუტსაიდერთა შორის, იქ, სადაც გამძაფრებული ბრძოლაა მოსალოდნელი უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის.

მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელები, ეტყობა, უკვე შეჩვეული არიან თბილისელებთან გამარჯვებას ამიტომაც თამაში მათ თავიდანვე სწრაფი იერიშებით დაიწყეს, მაგრამ სტუმრებმაც რამდენიმე მეტად სახიფათო კონტრიერიში განახორციელეს და გაბელიას მოუხდა ძნელი ბურთების მოგერიება. ეს ურთიერთშეტევები ტაიმის ბოლომდე არ დამცხრალა, თუმცა, წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია _ 0:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს, რასაც მეტოქეები კვლავ მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. იყო რამდენიმე შესაძლებლობა, როცა დაწინაურება სწორედ მათ შეეძლოთ: მე-18 წუთზე საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდა კაჭარავა, მიზანში ზუსტად დაარტყა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კარის ხაზზე აღმოჩნდა მცველი ლოსევი, რომელმაც ნაღდ გოლს გადაარჩინა თავისი გუნდი.

მიმდინარეობდა 66-ე წუთი, როცა თბილისელთა ერთ-ერთმა მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე აკრძალული ილეთით წააქცია კირიაკოვი, მ. სპირინმა 11-მეტრიანი დანიშნა და დობროვოლსკიმ ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ. დარჩენილ დროში ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო, თუმცა, თბილისელებს კიდევ რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ წაგებისაგან ეხსნათ თავი.

თბილისელებს 26 აგვისტომდე საკავშირო ჩემპიონატში შესვენება აქვთ. 26 აგვისტოს კი ჩვენი გუნდი მიიღებს დუშანბეს „პამირს".

"ლელო" 5 აგვისტო, 1989 წ.